



ჩინეთის რევოლუცია.



უჩანის ერთი სიმაგრეთაგანი



მთავრობის მომხრე ესკადრა, რომელიც უკვე რევოლუციონერების მხარე გადავიდა.

ნ ა ზ ა რ ე თ უ ი

(ლეგენდა თარგმანი).

იესო ხუთის წლისა იყო. იგი თავის მამის სახელოსნოს კარებ წინ იჯდა და თიხის რბილ გუნდასაგან გუგულს აკეთებდა.

თიხა მათ პირ-და-პირ მცხოვრებმა მეჭურჭლემ აჩუქა დიდ სიხარულს განიცდიდა იესო, რადგანაც იმ უბნის ბავშვები ყველა ერთ ხმად ამბობდნენ, მეჭურჭლე ულმობელი კაცია, მის გულს ვერც ნაზი გრძნობიერის ცქერით მოინადირებ, ვერც თაფლივებ ტკბილ სიტყვებითაო. ამიტომაც ვერ უბედავდა თიხის თხოვნას ჩიტების გასაკეთებლად.

იესომ თითონაც არ იცოდა, როგორ მოხდა ეს. ის იდგა თავის სახლის წინ ბაქანზე, უცქერდა მეზობელს, რომელიც ამ დროს მუშაობდა და სჭერწყავდა სხვა და სხვა ჭურჭელს.

იესოს ცქერაში გამოიხატებოდა ნაზი, გრძნობიერი სათნოება, უმანკო, ნორჩი და ბავშური ცნობის-მოყვარეობა.

ამ დროს გამოვიდა სახელოსნოდან მეჭურჭლე და... იესოს მისცა დაზელილი თიხის გუნდა, იმოდონა, რომ საკმარისი იყო პატარა ქოცოს გასაკეთებად.

გასწვრივ, მეზობელ სახლის მისაველთან, იჯდა იუდა, ქერა, უმსგავსო შეხედულებისა, სახე დალილავებული და დახეულ-დაფლეთილი, ალბად ქუჩის ბიჭებთან ბლლარძუნისა და ჩხუბისაგან. ეწლა კი ამ დროს იუდა იჯდა წყნარად და ისიც იესოსაებ საქმეში იყო გართული.

იუდას არ ჰქონდა თიხა ნაშოვნი მეჭურჭლესაგან, ვერც კი მიჰბედავდა მასთან, რომელიც მუდამ ემდუროდა იუდას, რადგანაც ის კენჭებს ესროდა ხოლმე მეჭურჭლესაგან გამზადებულ და გასაშრობლად მზეზე გაწყობილ ჯამ-ჭურჭელს. კინწისკვრით გამოაგდებდა ხოლმე იუდას სახლიდან და კაი, კაი, ჯონსაც უთავაზებდა.


იესომ გაუზიარა თიხა იუდას. დაამზადებდნენ გუგულს, და თავ-თავიანთ წინ ამწყრივებდნენ. ჩიტებს ისეთი შეხედულება ჰქონდათ, როგორიც აქვთ თიხისაგან დამზადებულთ! ფეხების ნაცვლად მრგვალი დასარსოლებული დასადგომი, პაწაწინა მოკლე ბოლო, კისრები ხომ სრულიად არ უჩანდათ და, თითქმის შეუმჩნეველი ფრთები ჰქონდათ.

ორივე ამხანაგის ნაკეთები პირველ შეხედვითვე განსხვავდებოდა. იუდას გუგულები მრუდე და უსწორ-მასწორო იყო, მალ-მალ ვარდებოდა, თუმცა ძალიან სცდილობდა თავისი მკაცრი თითებით, მაგრამ რიგიანს ვერ აკეთებდა, ლამაზ მოყვანილობას ვერ აძლევდა. დრო-გამოშვებით ქურდულად გაჰხედავდა იესოს, ჰსურდა გაეგო მიზეზი, თუ რანაირად აკეთებს ასე სუფთასა და მოყვანილს, იესო ერთი შეორეზე უკეთესს და ლამაზ გუგულს აკეთებდა და ყოველ ახალ-ახალ გუგულის დამთავრებაზე გულა სიხარულით ევსებოდა, ყოველი ახალი ნაკეთები წინანდლებზე უკეთესი იყო, და თავ-მომწონე სიყვარულით დასცქეროდა, თან ფიქრობდა: აი, ესენი ეყოლებიან და გაუწევენ ამხანაგობას თამაშობაში; ესენი აქნებიან მის პატარა და-ძმებათ. ესენი დაიძინებენ მის ქვეშევრდებში, მათთან დროს გაატარებს, უმღერენ იესოს, როცა დედა დასტოვებს მარტოდ.

ს ვ ა რ ს ე თ ი ს ა რ ე უ ლ ო ბ ა .



რუსის ჯარის შესვლა ყაზვინში. წინ მიჰყვანის გენერალ-მაიორი გაბაშვილი,



ფილდეები რუსის ჯარს ესვრიან თავრიზის ქუჩებში.



ნ. ბ. ლოლობერიძე ახლგაზღობაში.

არას დროს არ უგრძენია თავი ასე მდიდრად, როგორც ახლა.

ახლა კი აღ-რ დარჩება მარტო, მიუწყებული და გან-მარტოებული.

ამ დროს მის გვერდით გაიარა წყლის მზიდავმა, ქურქით მოსილმა, ახოვანმა კაცმა.

შემდეგ გაიარა ჯორზე მჯდომმა მემწვანილემ, რომელ-საც ფეხები ჩაედგა ცარიელა გოდრებში.

წყლის მზიდავმა ხელი დაადო ხუჭუქ თიან იესოს, და-უწყო გამოკითხვა მის ჩი უბზე, და... იესომაც უამბო, რომ ყველა მათგანს აქვს სახელი, იციან ვალობა. მისი ჩიტუნიები მოფრინდნენ უცხო მხრიდან და უამბობენ იქაურ ამბებს, ეს იციან მხოლოდ მისმა ჩიტებმა და თითონ იესომ.

იესო საამო და გრანობიერა მქერვეტყველებით უამ-ბობდა მათ წყალის მზიდავსაც და მემწვანილესაც, რომელთაც თავიანთი საქმე დაავიწყდათ. სმენად გადაქცეულნი, გარინდე-ბულნი ადგილიდან არ იპროდნენ.


როცა გამოერკვნენ და წასკლა დააპირეს იესომ იუდა-საკენ მიახედა და უთხრა:

— აბა ნახეთ, რა კარგ ჩიტებს აკეთებს იუდა!


მემწვანილემ შეაჩერა ჯორი და გულკეთილად ჰკითხა იუდას: ყველა მის ჩიტებს აქვს განსაკუთრებული სახელი და შეუძლიანთ ვალობა?

იუდა კი ხმას არ იღებდა და არც თვალს აშორებდა თავის ნაკეთებს; ამით გულმოსულმა მემწვანილემ ჯორი წაჭ-კრა ერთ მის ჩიტუნას და გაუდგა გზას.

ამასობაში მზე გადიხარა; მზის სხივები ისე დაეშვნენ დაბლა, რომ შეეძლოთ შეეშუქებინათ ქუჩის ბოლოს, ქალა-ქის დაბალ ქისკარში. ვარდის ფერად მოელვარე მზის სხივე-ბი ჰფერავდა დღის მიწურულს. და, თითქოს სისხლის ფერ



ნ. ბ. ლოლობერიძე შუახანში.



გიორგი ერისთავი

დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო,

ყუმაჩს სიწითლეში გავლებული ალივლივებდა, რაც კი შე-ხვდებოდა გზაში, ჯერ ხანად კი ეფრქვეოდა ვიწრო ქუჩას-ჰფერავდა მეჭურჭლის ნაკეთებს.

გარნა ყველაზე უმშვენიერესად აბრწყინებდა მზე ორ პატარა გუბეს, რომელიც დაგუბებულოყო უსწორ-მასწორო ქვაფენილებში.

იესომ უეცრად ჩაჰყო ხელი იმ გუბეში, რომელიც უფ-რო ახლო იყო მასთან. აზრად მოუვიდა თავისი რუხი ჩიტუ-ნიები დაეფერა მზის სხივებზე ჰავლით, რომელიც ასე ლამა-ზად ჰფერავდა წყალს, სახლის კედლებს და მთელ მიდამოს.

მზე სიამოვნებით დაჰნებდა იესოს, რომელმაც სხივი ისე დაიჭირა, თითქოს სამხატვრო პალიტრიდან საღებავი ააცა-ლაო. ვიდრე იესო ჰღებავდა თიხის პატარა ჩიტებს, ისინი ეწყვნენ გაუნძრევლად და... გაიფერნენ თავით ბოლომდე ვით მოელვარე ალმასი.

იუდა მალ-მალ აცქერდებოდა იესოს, რომ დარწმუნე-ბულიყო, ბევრი გააკეთა ჩიტები, ან ლამაზებია, ვიდრე იმი-სი? მისდა უნებურად უცბად შეჰკვივლა აღტაცებით, რა დაი-ნახა, რომ იესო იჭერს ხელით ქვაფენილებში ჩაგუბებულ წყალში მზის სხივებს და მით ჰღებავს, თიხის გუგულებს.

იუდამაც ჩაჰყო ხელი სხივით ელვარე გუბეში, სცდი-ლობდა დაეჭირა მზის სხივი. მზის სხივი კი, არა ჰნებდებო-და მას თითებ შუა უსხლტებოდა.

— იუდა, მაცა ცოტა ხანს, უთხრა იესომ,—მე მოვალ და დაფერავ შენს ჩიტებს.



ზელიმხანის სახლობა, რომელიც ტყვეთა ჰყავს მთავრობას.

ჩინეთის რევოლუცია



ჩინეთის რესპუბლიკის ქალაქის ფული.

— არა! — უპასუხა იუდამ, — ნუ შეახებ ხელს, ისეც ჰმევენინან — იგი უცებ წამოდგა ფეხზე, სიბრაზით შუბლი შეიჭმუნა, ტუჩები ჩაიკვნიტა და, თავის, ტლანქი ფეხი დაადგა ხან ერთ ჩიტს, ხან მეორეს, და ამ რიგად, რაც კი დამზადებული ჩიტები ჰქონდა სულ დასრისა და თიხის გუხდათ აქცია.

როცა გაანადგურა ყველა თავის ჩიტები. მიუახლოვდა იესოს, რომელიც იჯდა და ჟღალერსებდა თიხის ჩიტუნებს, რომლებიც ძვირფას ქვებით ელვარებდნენ,

ერთ ხანს ჩუმად ათვალიერებდა მათ, იუდა; შემდეგ ასწია ფეხი და იესოს ერთი ჩიტთაგანი — გაქყლიტა, როცა დაინახა, რომ პატარა ჩიტი სრულად დაფხვილიყო და ისევ რუხ თიხად ქცეულიყო, ისეთი სიმჩატე იგრძნო იუდამ, რომ სიამოვნებით ხარხარს მოჰყვა და ხელ ახლად ასწია ფეხი, რომ დაეფხვნა მეორეც.

— იუდა! შეჰყვირა იესომ, — რას სჩადი?! განა არ იცი რომ ესენი ცოცხალი, ჩიტებია არიან და გალობენ კიდევ? იუდა კი ხითხითებდა და... მეორეც გასრისა.

იესო ეძიებდა მშველელს, რადგანაც იუდა უფრო ახოვანი ვაჟი იყო და იესოს არ შესწევდა ღონე ხელი შეეშალა მისთვის, თვალებით ეძებდა დედას, ის კი შორს იყო; კიდევ რომ მიშველებოდა დედა, მანამდის, იუდა ყველა ჩიტებს გაუნადგურებდა.

იესოს გული აუჩუყდა. თვალები ცრემლებით აევსო, ოთხი ჩიტი უკვე გაუნადგურებინა იუდას, სამი და დარჩენოდა.

გული დასწყდა იესოს, რომ მისი ჩიტები უმოძრაოდ იდგნენ და თითქოს არ გრძობდნენ საფრთხეს.



ლადო აღნიაშვილი

ქართულ მომღერალთა, გუნდის პირველი დამაარსებელი,

იესომ ტაში შემოჰკრა, რომ გამოეფხიზლა ისინი და ეხმაურა: **!**

— გაფრინდით, გაფრინდით!..

უცებ სამივე ჩიტი შეიძრა, პატარა ფრთები გაუბედავად შეაფრთხილეს და!... შეფრინდნენ ბანზე, სადაც არ მოელოდათ განსაცდელი.

როცა დარწმუნდა იესო, რომ ფრინველებმა აამოძრავეს ფრთები და გაფრინდნენ, მორთო ტირილი... სიბრაზით იგლეჯდა თავზე თმებს, ისე, როგორც — ენახა ოდესმე უძლური მოხუცი, დიდ მწუხარება — ტანჯვაში მყოფი იუდა სასოწარკვეთილი ჩაუვარდა ფეხებქვეშ — იესოს.

ის ეგდო ძირს და როგორც ძაღლი, ამოგანგლული მტვერში, იესოს უკოცნიდა ფეხებს და შესთხოვდა.

— შედეგ ფეხით და დამქეღე, როგორც მე დავქეღე შენი ჩიტები!

თუმცა იუდას უყვარდა იესო, აღტაცებაში იყო მისით, აღმერთებდა, მაგრამ იმავ დროს სძულდა კიდევ...
ამ ამბავის დასაწყისიდან ვიდრე დაბოლოვებამდე მარიამი ადევნებდა თვალ-ყურს ბავშვების თამაშსა... მივიდა მათთან, ააყენა იუდა, მუხლებზე დაისო და მიუალერსა:

საბრალო ბავშო! — უთხრა მარიამმა. — არ იცი, რომ შენ გაჰბედე ისეთი რამ შეუძლებელი, რაც არ ძალუძს არავის ღვთისაგან გაჩენილს.

ნუ შეეკიდები ისეთ რასმე, რის ძაღლონეც არ შეგწევს, თუ არ გინდა ვახდე უუბედურთაგანი — ადამიანთა შორის. რა შეემთხვეოდა ისეთ კაცს, რომელიც გაჰბედავდა შეჯიბრებოდა მას, ვისაც ემორჩილება მზის სხივები და, ვისაც ძაღლუძს ჩაჰბეროს ცხოველმყოფელი სული უბრალო თიხას.

კ. ასათიანი.



კარტული ხორცი
1986
პარტული ხორცი
პროგრამა
I
1) პარტიული ხორცი...
II
1) პარტიული ხორცი...
III
1) პარტიული ხორცი...

პირველი ქართული კონცერტის პროგრამა.